ტრისტან სიხარულიძის საიუბილეო საღამო თბილისში

ალიონი. ცნობილი ლოტბარის, მიხეილ შავიშვილის სახელობის ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელის, ტრისტან სიხარულიძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში 10 თებერვალს გაიმართა.

საღამო ტრისტან სიხარულიძის მცირე მოგონებით დაიწყო:

–სიმღერაში პირველი ჩემი „ნათლობა“ 4 წლის ასაკში შედგა.

მამა – ილარიონ სიხარულიძე დიდი ვარლამ სიმონიშვილის გუნდის წევრი იყო. ერთხელ რეპეტიციაზე წამიყვანა.

ბატონმა ვარლამმა ჰკითხა: – ვისია აი ბაღანაო?

– ჩემიაო, – წარმადგინა მამამ.

სიმღერა თუ იცისო? – დაინტერესდა ვარლამი.

– ცდილობსო, – უპასუხა მამამ.

დამაწყებინეს „ჩვენ მშვიდობა.“ ბანი ვარლამმა მომცა. მამა მეორეს ამბობდა. როცა დავამთავრეთ, ვარლამმა თავზე ხელი გადამისვა და თქვა: – ამ ბაღნიდან კაი მომღერალი დადგებაო.

ტრისტანმა დიდ ხელოვნებაში მის გზის გამკვალავთა შორის არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილი დაასახელა. შემდეგ იგი საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მღეროდა, რომელსაც პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე გრიგოლ ჩხიკვაძე ხელმძღვანელობდა. ოზურგეთში უკვე ცნობილი მოკრიმანჭულე დაბრუნდა და 1970 წელს იგი ანსამბლ „შვიდკაცაში“ ბატონმა მიხეილ შავიშვილმა მიიწვია. ამას მოჰყვა ცნობილი გასტროლები ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (ყოფილი სსრკ-ში ეს იშვიათი პრეცედენტი გახლდათ). 1995 წლიდან თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ლოტბარი ტრისტან სიხარულიძე ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელობს.

ტრისტან სიხარულიძე ასევე წარმატებით მოღვაწეობდა ბატონ ვანო ჩხარტიშვილის მიერ ოზურგეთში დაარსებულ ლოტბართა სკოლაში, სადაც ახალგაზრდა მომღერლებს შეასწავლა ორმოცდაათამდე გურული სიმღერა.

ამჟამად იგი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის სკოლის კონსულტანტია.

კონცერტი ტრისტან სიხარულიძის საოჯახო ტრიოს (ანი ქურთუბაძე, ლევან სიხარულიძე) მიერ შესრულებული სიმღერით „ჩვენ მშვიდობა“ დაიწყო.

საოჯახო ტრიოს შემდეგ სცენა ანსამბლ „ბასიანს“ დაეთმო, რომელმაც უჩვენა თავისი ხელოვნება დარბაზში მყოფ ხალხური სიმღერების დამფასებლებს.

შთამბეჭდავი იყო ქართული ხალხური მუსიკის ქურუმის ანზორ ერქომაიშვილის გამოსვლა.

– დღეს გურული სიმღერის იუბილეა. როცა უსმენ ტრისტან სიხარულიძეს, იგი მისი შესრულებით სადღაც გადაგრტყორცნის.

მე 7 წლის ვიყავი, ტრისტანი 10-ის თუ იქნებოდა. ბაბუამ – არტემ ერქომაიშვილმა ნაკრები გუნდი წამოიყვანა თბილისში, ოპერის თეატრში. გამოსვლისას იმდენად პატარა ვიყავი, სკამზე შემსვეს. „შვიდკაცაში“ მე კრიმანჭულს ვამბობდი, ტრისტანი – ბანს. სიმღერა რომ დავასრულეთ, დარბაზში ტაშმა იქუხა. ჩვენ კულისებში გავიქეცით. ბაბუა არტემმა მოგვეძებნა და გვითხრა: – „წამოი ბაბუა, ამ ტაშს თქვენ

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 7 (10252) 19 თებერვალი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

გზების აღდგენით სამუშაოებზე ტენდერები გამოცხადდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ 12 თებერვალს გზების აღდგენით სამუშაოებზე ტენდერები გამოაცხადა.

დასრულებული ტენდერების შედეგად და წინა წლიდან გარდამავალი პროექტების ფარგლებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია 6 ობიექტზე დაიწყება.

როგორც მერის მოადგილე ოსიკო თოთიბაძე განმარტავს, 2018 წელს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებითა და ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრებით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება.

„პირველ ეტაპზე დავიწყებთ რამდენიმე გარდამავალი პროექტის განხორციელებას. ეს არის 5 ძირითადი მიმართულება:

- ბოხვაური - შემოქმედის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობის მე-3 ეტაპის სამუშაოები, ღირებულებით - 603 920 ლარი;

- ვაკიჯვარი-ფამფალეთი-მთისპირის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მე-3 ეტაპის სამუშაოები, სასარჯთაღრიცხვო ღირებულებით - 966 979 ლარი;

- დაბა ნასაკირალი-მელექედურის დამაკავშირებელი გზის ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობის მე-2 ეტაპის სამუშაოები, რომლის ღირებულებაც შეადგენს 816 950 ლარს;

- სოფელ სილაურის ცენტრიდან-ოზურგეთი-ნინოშვილი - ლესას მიმართულებით გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 1 153 162 ლარი.

- ოგეგმება სოფელ ჭანიეთის ცენტრის გავლით ქაქუთის დასაწყისამდე გზის (პირველი მონაკვეთი) რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 1 023 794 ლარი.

- ასევე, სოფელ შემოქმედის ცენტრიდან -გორისფერდის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, სასარჯთაღრიცხვო ღირებულებით - 560 000 ლარი,“- აღნიშნავს ოსიკო თოთიბაძე.



მცირე მეწარმეებისთვის ბრუნვის გადასახადი 5-ჯერ შემცირდება, ასევე მცირე მეწარმის კატეგორიაში მოხვდება 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმო

მთავრობის ინიციატივით, მცირე მეწარმეებისთვის ბრუნვის გადასახადი 5-ჯერ შემცირდება, ასევე მცირე მეწარმის კატეგორიაში მოხვდება 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმო, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 15 თებერვლის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მინდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შევეხო. პირველი - ეს გახლავთ მცირე მეწარმეებისთვის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის შემოღება. მოგეხსენებათ, რომ მეწარმეობის განვითარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, განსაკუთარებით მცირე მეწარმეობის. მე პარლამენტში მთავრობის დამტკიცების დროს, ჩემი გამოსვლისას ვისაუბრე, რომ ჩვენ ვიწყებთ მცირე ბიზნესის დახმარების მეორე ტალღას. მას შემდეგ, რაც საკმაოდ წარმატებით ხორციელდება პროგრამები „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროგრამები, „დანერგე მომავალი“ და ა.შ.

ჩვენ შემოვდივართ ახალი ინიციატივით. მინდა მადლობა გადავუხადო ფინანსთა მინისტრ მამუკა ბახტაძეს, რომელმაც ძალიან საინტერესო საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება მოახდინა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე. ეს გახლავთ ინიციტივა **მცირე მეწარმეებისთვის დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის დაწესების თაობაზე. კერძოდ, მცირე მეწარმეებისთვის 5-ჯერ ვამცირებთ ბრუნვის გადასახადს, ანუ 5%-ის ნაცვლად იქნება 1%-იანი ბრუნვის გადასახადი. ამასთან, დღეს თუ მცირე მეწარმედ ითვლება 100 000 ლარამდე ბრუნვის მქონე საწარმო, 500 000 ლარამდე ბრუნვის საწარმო ჩათვლება ამ კატეგორიაში და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არის მართლაც მნიშვნელოვანი შვება მცირე მეწარმეობაში დაკავებული ადამიანებისთვის, მნიშვნელოვანი შემცირება საგადასახადო ტვირთის და წახალისება ახალი მეწარმეების, რომელთაც სურთ საქმიანობის წამოწყება**“, - განაცხადა კვირიკაშვილმა.

ამასთან, მთავრობის მეთაური დარწმუნებულია, რომ მეწარმეები აიტაცებენ ამ ინიციატივას, „იქნება ახალი საწარმოების შექმნის ინიციატივები და მნიშვნელოვანი ახალი ჟანგბადი მცირე მეწარმეებისთვის წარმოების გაფართოებისთვის და ასევე არსებული საწარმოებისთვის“

თეა წულუკიანმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ღიაობასა და გამჭვირვალობაზე ისაუბრა

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, უცხოეთის ელექტრონულ ჟურნალ **https://govinsider.asia/.** -თან მიცემულ ინტერვიუში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის ღიაობასა და გამჭვირვალობაზე ისაუბრა.

სტატიაში მინისტრი საუბრობს ღია მმართველობის პრაქტიკის შესახებ საქართველოში და მათ შორის, ერთ-ერთ მაგალითად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება, საანგარიშო პროცესის გამჭვირვალობა და საკრებულოს საქმიანობაში ელექტრონული კვლევების დანერგვა მოჰყავს. სტატია სრულად შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე **https://govinsider.asia/-.../georgia-prioritises-co-creation-.../**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო „ღია მმართველობის პარტნიორობის" მეხუთე გლობალური სამიტის მონაწილეცაა, რომელიც 2018 წლის 17-19 ივლისს თბილისში გაიმართება.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 28,80 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთელები ადგილობრივი თვითმმართველობების პირველ ახალგაზრდული ფორუმზე

თბილისის საკრებულოში „ადგილობრივი თვითმმართველობების პირველი ახალგაზრდული ფორუმი“ გაიმართა. ღონისძიებას დელეგატის სტატუსით, საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრებმა. მათ თავიანთი ხედვა და სამომავლო პერსპექტივები გააცნეს დელეგატებს მუნიციპალური თანამშრომლობის მიმართულებით.

– ადგილობრივი თვითმმართ-ველობების პირველი ახალგაზრდული ფორუმი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია.ვფიქრობ,რომ ქართულ პოლიტიკაში ახალი ენერგიის შესვლა და ახალი ინიციატივები გასათვალისწინებელია,– თქვა "ალიონთან"საუბარში მარიკა ჩხიკვიშვილმა

ფორუმის დასასრულს დელეგატებმა ერთობლივი დოკუმენტი მიიღეს, რომელიც 10-პუნქტიანია და ეხება მულტიმუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერებას, ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, მოხალისეობის ინსტიტუტის ხელშეწყობას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის აუცილებლობას, ასევე ახალგაზრდებში ძალადობის აღმოფხვრას.

„ადგილობრივი თვითმმართველობების პირველი ახალგაზრდული ფორუმი“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანიზებითა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით ჩატარდა.

ყურადღება! სასკოლო-საატესტატო გამოცდების ჩატარების ფორმატი შეიცვალა!

გამოსაშვები გამოცდები წელსაც 2 ეტაპად – მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასებში ჩატარდება, თუმცა არის სიახლეებიც.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი აცხადებს, რომ წელს სასკოლო-საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება. უფრო კონკრეტულად კი, წელს მოსწავლე ტესტირების დასრულებისას ეკრანზე დაინახავს არა ქულას, არამედ შეტყობინებას იმის შესახებ, გადალახა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ მიიღო მინიმალურ 5.5 ქულაზე მეტი თუ ნაკლები.

-მთავარი პრინციპია, გადალახა თუ ვერ გადალახა მოსწავლემ ბარიერი და არა – კონკრეტული ქულა. ეს მნიშვნელოვანი სიახლე წელს დაინერგება და ჩვენ მოხარულები ვართ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შევაჯერეთ მოსაზრებები. როგორც კი დაასრულებს მოსწავლე გამოცდას, ის კომპიუტერის ეკრანზე დაინახავს, გადალახა თუ არა ბარიერი. შესაბამისად, მას კონკრეტული ქულა აღარ დაეწერება“, – განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

აგროჟურნალისტიკის ასოციაციის ღონისძიება ოზურგეთში

ალიონი. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს აგროჟურნალისტთა ასოციაციამ შეხვედრა გამართა რეგიონული და ადგილობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან.

შეხვედრას საქართველოს აგროჟურნალისტთა ასოციაციის გამგეობის წევრი დემეტრე ერგემლიძე უძღებოდა.

როგორც ერგემლიძემ განაცხადა, სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგია და მედიამ სოფლის მეურნეობის საკითხებზე მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მოსახლეობას.

დასახელდა მედია გამოცემები, კონკრეტულად გაზეთ „გურია ნიუსის“ დამატება „კარმიდამო ჩემი“ და გაზეთ „ალიონის“ დამატება „გურული ვაზი,“ სადაც სოფლის მეურნეობის საკითხები შუქდება.

საქართველოს აგროჟურნალისტთა ასოციაცია დაეხმარება მედიასაშუალებებს ჯეროვანი ინფორმაციის მიღებაში და კვალიფიციური რესპონდენტის მოძიებაში; იქნება რეკლამის შუამავალი რგოლი კერძო სექტორსა და მედიას შორის.

ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა

„ღია მმართველობა პარტნიორობის“ ეროვნულ სამოქმედო გეგმით , ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშსა და სამომავლო გეგმების შესახებ, საკრებულოს ბიუროს პრეზენტაცია აპარატის უფროსმა ნანა თავდუმაძემ წარუდგინა.

საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი „ღია მმართველობა პარტნიორობის" სამოქმედო გეგმას შეუერთდა და ხუთი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულიდან ერთ-ერთია, რომელმაც გამჭვირვალობისა და საჯარო ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა აიღო.

სწორედ, შესრულებული ვალდებულებები აისახა **OGP**-ის 2017 წლის შედეგებში.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სამოქმედო გეგმით გაწერილი 23 ვალდებულება, რომელიც საკრებულოს სხდომებისა და ანგარიშების პროცესის გამჭვირვალობას მოიცავს, სრულად შეასრულა. ამის პირობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელებულმა პროექტებმა შექმნა. თუმცა წინ ახალი გამოწვევებია. საქართველოს მთავრობა, როგორც **OGP** -ის წამყვან თანათავმჯდომარის სტატუსში, მეტი გარდამავალი რეფომის

განხორციელებას გეგმავს. ოზურ-გეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშეც ახალი ვალდებულებები ჩნდება. მათ შორის არის ელექტრონულ პეტიციების, ელექტრონული გზამკვლევის დანერგვა, საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრების უფრო ქმედითი ფუნქციონირება. ჩვენ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით და ვიმედოვნებთ, მალე საკრებულო ახალ ნოვაციებს დანერგავს “ - აღნიშნა ნანა თავდუმაძემ.

მანვე ბიუროს წევრებს 2018 წლის 17-19 ივლისს, თბილისში დაგეგმილი გლობალური სამიტის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, სადაც მონაწილეობას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოც მიიღებს.

2017 წლის 19 სექტემბერს გიორგი კვირიკაშვილს საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (**OGP**) თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსი ერთი წლით გადააბარა. საქართველო **OGP**-ის ისტორიაში პირველად გახდა 75 ქვეყნისგან შემდგარი ორგანიზაციის (ინიციატივის) თავმჯდომარე. ის ამ ფუნქციას ერთი წლის განმავლობაში შეასრულებს.

ზამთრის ღია ჩემპიონატი მძლეოსნობაში

2-4 თებერვალს, ქალაქ თბილისში მძლეოსნობის არენამ ღია ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელშიც 2001-2002 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. წარმატებით იასპარეზეს ოზურგეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრებმა.

სამხტომში ჩემპიონის ტიტული და პირველი ადგილი მოიპოვა მიშიკო მახარაძემ, შედეგი – 10 მ და 83 სმ, ასევე სამხტომში მეორე ადგილის მფლობელი გახდა რევაზ გოგოტიძე, შედეგი –10 მ და 02 სმ.

3-კგ-იანი ბირთვის კვრაში მეორე იყო მარი კანთელაძე – 9 მ 00 სმ.

სიგრძეზე ხტომაში მესამე ადგილი მოიპოვა დავით ტუღუშმა – 4მ 90 სმ.

60 მეტრზე რბენაში, ასევე კარგად იასპარეზა 2004 წელს დაბადებულმა დავით ტუღუშმა – 8,18 წმ, რომელიც სამწუხაროდ ფინალის მიღმა დარჩა.

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადა მძლეოსნობის მწვრთნელმა მარინე კოტრიკაძემ

ტრისტან სიხარულიძის საიუბილეო საღამო თბილისში

გიკრავენო“.

მე და ტრისტანი მაჯის საათებით დაგვაჯილდოვეს. იმ წლებში ვინც კი ქორწინდებოდა მაკვანეთში, ყველას ქორწილის დღეს ჩვენგან ნათხოვარი საათი ეკეთა. მე თბილისში წამოვედი, ტრისტანი სოფელში დარჩა. დღეის გადასახედიდან ვიტყვი, რომ სოფელში ტრისტანმა მეტი იღვაწა გურული სიმღერის გადასარჩენად.

დასამახსოვრებელი იყო ანზორ ერქომაიშვილის, ტრისტან სიხარულიძის და გედი ჯინჭარაძის მიერ შესრულებული „შვიდკაცა.“

ასევე განსაკუთრებული იყო ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებული „ვოისა -ჰარირა.“

შემდეგ კი გურულების საამაყო ანსამბლმა „შვიდკაცამ“ აჩვენა თავისი ხელოვნება.

იუბილარს მიესალმა ანსამბლი „ერისიონი“ და მისი ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი.

საღამოზე დებიუტი ჰქონდა ანსაბლ „შილდას“, რომლის სპონსორი, ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილია

მეღვინეობა „შილდას" დამფუძნებელმა ვანო ჩხარტიშვილმა ტრისტან სიხარულიძის საღამოზე დამსწრე საზოგადოებას კომპანიის ახალი ინიციატივის – შილდას „საპატიო დარბაზის“ დაარსების შესახებ აცნობა.

„საპატიო დარბაზი“ გააერთიანებს ქართული ტრადიციული კულტურის სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილ ადამიანებს. დარბაზის წევრებს ექნებათ გარკვეული ფინანსური ანაზღაურება, სამედიცინო დაზღვევა ქვეყნის შიგნით და გარეთ, კომპანია „მეღვინეობა შილდას“ პროდუქციით უზრუნველყოფა.

„საპატიო დარბაზის“ პირველი წევრობის პატივი გურული სიმღერის გამორჩეულ შემსრულებელს, შეუდარებელი იმპროვიზატორსა და ტრიოში მღერის დიდოსტატს ტრისტან სიხარულიძეს ერგო.

იუბილარს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, პოეტი დავით შემოქმედელი მიესალმა და გამოაცხადა რუსთაველის საზოგადოების წოდებების მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება „საქართველოს კულტურის ამაგდარის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

საიუბილეო საღამოს აკორდი საღამოს მონაწილე ანსამბლების მიერ შესრულებული „ხასანბეგურა,“ სადაც ტრისტან სიხარულიძემ ყველა ანსამბლის სოლისტებთან თანმიმდევრულად იმღერა.

საიუბილეო საღამოს მუსიკათმცოდნეობის დოქტორი გია ბაღაშვილი უძღვებოდა.

საღამოს ინიციატორები საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, კომპანია „მეღვინეობა შილდა,“ ფონდი „ქართული გალობა“ იყვნენ.

ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ავთანდილ სურგულაძე და ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი.

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეები პეტიციის გამოყენებით ერთვებიან

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მექანიზმი - პეტიცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ გამოიყენა და საკრებულოს მიმართა სამი პეტიციით, მათი დარეგისტრირების მიზნით.

საკრებულოს მიერ პეტიციების განხილვამდე, საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ, მოადგილესთან გიორგი ღურჯუმელიძესთან და აპარატის თანამშრომლებთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართა ინიციატორთან - საზოგადოებრივი ორგანიზაცია „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ წარმომადგენელ ოთარ რევიშვილთან.

შეხვედრაზე ძირითადად დარეგისტრირების პროცედურულ საკითხებზე იმსჯელეს, რათა საკრებულომ, კანონით დადგენილი ყველა ნორმის გათვალისწინებით, დაიწყოს პეტიციების განხილვა.

მსჯელობის პროცესში მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს პეტიციის მნიშვნელობასა და მოქალაქეების აქტიურობაზე, ამავე დროს, შეთანხმდნენ სამომავლოდ ერთობლივად ახალი პროექტების განხორციელებაზე და ამ მიზნით, როგორც ადგილობრივ, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე.

„საკრებულოს მიღწევები გამჭირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით, დაფუძნებულია თანამშრომლობაზე, როგორც თქვენს ორგანიზაციასთან, ასევე სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლებთან. მივესალმებით, რომ დღეს მოქალაქეები ერთვებიან თვითმმართველობის განხორციელების პროცესში პეტიციის გამოყენებით. ეს არის კარგი პრეცედენტი, გავზარდოთ მათი როლი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში. საკრებულო ყოველთვის მზად არის, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მხარი დაუჭიროს კარგ, საჭირო ინიციატივებს,“ - განაცხადა შეხვედრისას დავით დარჩიამ.

„გურიის ახალგაზრდა რესურსცენტრის“ წარმომადგენლის ოთარ რევიშვილის თქმით, მუნიციპალიტეტის წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება სწორედ სამოქალაქო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობაა.

„ჩვენ გვაქვს უკვე ეს გამოცდილება სხვადასხვა პროექტების განხორციელებით. მსგავსი მუშაობის შედეგია, როდესაც ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, მათ შორის საკრებულო, მოწინავე ადგილს იკავებს საქმიანობის გაჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების მიმართულებით. აღნიშნული პეტიციები იქნება ახალი შესაძლებლობა, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით გადავწყვიტოთ მნიშვნელოვანი საკითხები.“

პეტიციების განხილვას საკრებულო მას შემდეგ დაიწყებს, როდესაც ისინი კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დაცვით დარეგისტრირდება.

მაჟორიტარები

დაბა ლაითური - გიორგი ჩაგანავა

დაბა ლაითურის ამომრჩევლებმა ადგილობრივი თავითმმართველობის არჩევნებში, 726 ხმით ნდობა გიორგი ჩაგანავას გამოუცხადეს. აღმასრულებელ ორგანოში რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გახდა.

„არ არის ადვილი იყო მაჟორიტარი დეპუტატი და გაამართლო თითოეული თანასოფლელის ნდობა. თუმცა, როდესაც გადავწყვიტე მიმეღო მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში. სრულად მქონდა გათავისებული ის პასუხისმგებლობა, რომელსაც მაჟორიტარის მანდატი მაკისრებს.მახარებს და სიამაყით ვსაუბრობ ყველა იმ გაკეთებულ საქმეებზე, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით უახლოეს წლებში ჩემს დაბაში შესრულდა და ამ ეტაპზეც მიმდინარეობს.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს წყლის სისტემის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები; სრულად რეაბილიტირდა მერია-ლაითური-ცეცხლაურის დამაკავშირებელი ცენტრალური გზა, რომელიც გურიის სოფლებს აჭარის სოფლებთან აკავშირებს. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდანდაფინანსდა. ამ ეტაპზე ჩაბარების პროცესშია გაზიფიცირების სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ დაბა სრულად გაზიფიცირდება.

დაგეგმილია მინელიუმის პროგრამით საჯარო სკოლის პირველი ორი სართულის სრული რემონტი. ასევე იგეგმება საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობაც.

მიუხედავად დაბა ლაითურში ჩატარებული და დაგეგმილი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებისა, პრობლემები მაინც მრავლადაა. ეს ძირითადად შიდა გზების მოწესრიგებას, რიგ უბნებში გარე განათების ავარიული ბოძებისა და ნათურების შეცვლას გულისხმობს. თანადაბელებისათვის, ისევ, როგორც მთელი მუნიციპლიტეტისთვის მნიშნელოვანია აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გატარება.

მსურს მივმართო დაბა ლაითურის მაცხოვრებლებს, კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა მათ ამ უდიდესი ნდობისთვის. თითოეული თქვენგანის პრობლემის მოგვარება, გადაჭრის გზების ძიება, პრიორიტეტების სწორად დასახვა იქნება ჩემი დეპუტატობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ჩვენ ერთად უნდა შევძლოთ ლაითურისა და მუნიციპალიტეტისათვის სასიკეთო საქმეების კეთება“.

სოფელ ჭანიეთი - დავით მჟავანაძე

სოფელ ჭანიეთმა, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს, ნდობა მეორედ გამოუცხადა დავით მჟავანაძეს.მან ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში 284 ხმით გაიმარჯვა. დავით მჟავანაძე საკრებულოში ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ხელმძღვანელობს.

„ყველაზე მნიშვნელოვანი ამომრჩევლების ნდობაა. მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ არჩეული პირი მაქსიმუმს გააკეთებს პრობლემათა გადაჭრისათვის. იმედის გამართლება, ყველა საარჩევნო პროგარამაზე მნიშვნელოვანია.

ჩემს სოფელში პრობელემები არაერთგვაროვანია. ყველაზე მთავარი, ვფიქრობ, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურაა, სხვა სოფლის ცენტრებისგან განსხვავებით, ჭანიეთის ადმინისტრაციულ ცენტრი შედარებით მოწესრიგებულია, თუმცა ავარიულია შიდა გზები. დაუსრულებელია სასმელი წყლის სარეაბილიტაციო პროექტიც, რაც დიდ პრობლემებს უქმნის ჩემს თანასოფლელებს. სოფელში ასევე მწვავედ დგას დასაქმების პრობლემა, გაიზარდა ოჯახთა რაოდენობა, რომლებსაც სოციალური დახმარება მოეხსნათ. სამწუხაროდ, აღნიშნული პრობლემის მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენცია არ არის, თუმცა მიმაჩნია, რომ შესაბამისი უწყებისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება და პრობლემის სწორად დაყენება ზრდის მოგვარების შანსებს.

ჩემთვის, როგორც მაჟორიტარისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია თუ რამდენად ახლოს ვდგავარ ხალხთან. მე წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოს წინაშე თითოეული ჭანიეთელის ინტერესის დამცველი ვარ. ეს არის მაჟორიტარის საქმიანობის ძირითადი ამოცანა.

იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე მაქსიმალურად მოვახერხებ იმ პრობლემების მოგვარებას, რომელიც ჩემს სოფელს აწუხებს.

პანოში ამეტყველებული ქვა და... დიდი სიყვარული

შემოქმედის გულით და ხედვით თავმოყრილი საღებავი, ცემენტი, ნიჟარები, ბიჟიუტერია, წარწერა, ლურსმანი და ხის ფიცრები, ფესვებიც კი... მოყვარულის ხელით მოხატული კედლები დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს.

ლალი თავართქილაძეს, ფარმაცევტს, ხელოვანს, მკურნალს, როცა შევთავაზეთ თავად ამოერჩია თავისი წარსადგენი ტიტული პროფესიის ან გატაცების მიხედვით, გვითხრა:

— გატაცებით, ალბათ, უფრო პოეზიის მოყვარული, ბავშვობიდან ხელოვნების მოყვარული, ჩვენი ოჯახი ხელოვნებასთან ასოცირდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მამა ექიმი იყო, დედა - ფარმაცევტი. მაინც პოეზიით ვსულდგმულობდი. პროფესიით პროვიზორი ვარ, წარჩინებით ინსტიტუტდამთავრებული, გურიის რეგიონის ფარმაცევტული ასოციაციის თავმჯდომარე ვარ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ურეკის განვითარების“ თანადამფუძნებელი, ბატონ ამირან კიღურაძესთან ერთად.

ჩემი ბოლო გატაცებაა არაორდინარული კერამიკა, ჭიქურობა, რომელსაც ხელი მოვკიდე მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ზღვის ნიჟარები, ნაგავიდან, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ამოღებული ნივთები, ქვები ავამეტყველე კედელზე. ეს დავიწყე სტრესის ნიადაგზე, გაუაზრებლად. კედელზე „ხატვა“ დავიწყე 2011 წელს. ურეკში სახლის კედლების ხშირი ღებვის თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტე მათი ზღვის ნიჟარებით დაფარვა. დავიწყე... ძალიან ლამაზი გამოვიდა, თანდათან ვისწავლე და... ხანდახან მართლა ძალიან მომწონს. მერე რუის-ურბნისის ეპარქიის წმინდა ნონოს სახელობის მონასტრის სატრაპეზო მოვჭიქე. ვეზიარე მონასტრულ ცხოვრებასაც, რომელიც ჩემი შეიძლება არ არის, მაგრამ ძალიან ბევრ სიღმეს ვეზიარე და მივხდი, რომ **ბედნიერება არის ახალგაზრდობში შესრულებული ვალდებულებები და არა ახალგაზრდობაში ასრულებული ოცნებები, იმიტომ, რომ მერე ცხოვრების დაღმართზე დაგხვდება კარგად მოვლილი გზები.** ბედნიერებაა, უკან მოხედვა დადებითი შემაფასებელი განწყობით. მიმაჩნია, რომ სიცოცხლე იწყება გარდაცვალების შემდეგ. უფალმა „ცოდვის შვილებად“ იმიტომ მოგვავლინა ამ ქვეყნად რომ აქ წმინდანებად არ ვიცხოვროთ. ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ შემდეგ, იქ, საზვერეებში ადვილად გავიდეთ. მინდა სიკეთე ვაკეთო, სულირი მოთხოვნილებაა ჩემი და ამ აზრით ვიღვიძებ.

— თქვენი გულისხმიერება, სულიერება ისევ მხატვრობას დავუკავშიროთ, პანოებში დევს რაღაც აზრი, წარწერებითაც ამკობთ ამ უჩვეულო მხატვრობას და თითქოს ამით გასაღებს აძლევთ მნახველს. ხატვის დაწყებისას იდეა წარმოდგენილი გაქვთ?

- არა, არ ვიცი რა გამომივა. მივდივარ კედელთან, ვჯდები. მუშაობისას ვისმენ თემურ შენგელაიას ლექსებს. მაქვს მხოლოდ ერთი შპადელი, დანა, პატარა ჭურჭელი, რომელშიაც ცემენტს ვზელ. მისით მოდის რაღაცეები. ხან ერთ ადგილას წავუსმევ ხან მეორეს, ბოლოს იკვრება და რაღაც საოცარი წინასწარმეტყველება ისახება. ეს მოხდა რუის-ურბნისის ეპარქიაში. მე პირადად, არაფრის ხატვა არ შემიძლია. კედლებზე არის მხატვრული გამოსახულებები. ეს არის ღვთის ნიჭი და არა ჩემი. მე ვარ გამტარი, უფლის ნების აღმსრულებელი.

— ფეისბუქიდან ვიცი, რომ მეგობრებისათვის უსასყიდლოდ აკეთებთ ამ უზარმარ სამუშაოს.

— რა თქმა უნდა. ასევე იყო ეპარქიაშიც. ჩემი ინიციატივით ძალიან ბევრი რამ მაქვს გაკეთებული სხვის სახლებში.

— საკუთარ სახლში ეკოსასტუმროსა და გიზო ნიშნიანიძის ლიტერატურულ სალონს ხსნით?

—საერთოდ, მარტოობა მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ სამი შვილი მყავს. ბევრჯერ მითქვამს, რომ შემთხვევით არაფერი ხდება და დამამახსოვრდა, ერთხელ მითხრეს, მარტოდ დარჩებიო. ამან განაპირობა, რომ ჩემს სახლში, სოფ. ოზურგეთში, რომელშიაც საერთოდ არ მიცხოვრია, ვაკეთებ გიზო ნიშნიანიძის სახელობის ლიტერატურულ სალონსა და სასტუმროს. კედელზე დავწერე „მარტოობა“. ადამიანი მუდამ მარტოა, უბრალოდ ამ მარტოობაში უნდა იპოვო შენი თავი და მე ადამიანებისაკენ ლტოლვამ შემაქმნევინა ყველაფერი ის, რასაც ვაკეთებ.

მე და ბატონი გიზო ვიყავით ძალიან დიდი, სულიერი მეგობრები. მის წიგნში „პაემანი ვერაზე“, აღმოვაჩინე ფრაზა: „თუ ამ წიგნს მეორედ სიცოცხლის უფლება აქვს მაშინ ეს თქვენი კალმისა და ფუნჯისა იყოს“. ეს იყო გადაკვეთა გზებისა, მე აღმესრულებინა ეს მისი წინასწარმეტყველება, რომელიც არ ახსოვდა მას.

მან უმღერა თბილისს, მე კი მინდა ვუმღერო ოზურგეთს. მან 53 წლის ასაკში დაიწყო ლექსების წერა. ძალიან ედგა მხარში მეუღლე, ოზურგეთელი ქალბატონი ლიანა კეჭაყმაძე და მე მინდა ოზურგეთიდან მოვეფერო მათ.

ადამიანები მკითხველები ნაკლებად არიან და მე კედლებზე ვწერ შესანიშნავი პოეტების ლექსებს.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გიორგი კეკელიძის სიყვარულის ანატომიამ და გადავწყვიტე ჭერზე მოვხატო.

სოფელ ოზურგეთში მაქვს 6 000 კვ.მეტრი ფართობი, გურია საქართველოში ერთ-ერი პირველია ეკოლოგიურად სისიუფთავის თვალსაზრისით, ძალიან ბევრი აქ ჩამოსვლით დაინტერესებული უცხოელი მეგობარი მყავს. გავაერთიანე შვიდი ოჯახი, თავიანთი სასოფლო მეურნეობით.

სასტუმროსთან ერთად ვაპირებ პლანეტარიუმის აგებას, ორ ხეზე „ველური სახლის“ გაკეთებას ვფიქრობ, ყველაფრის ჩემი ხელით გაკეთებას ვაპირებ და რასაც ვერ შევწვდები ფინანსის მოსაპოვებლად მსურს **გავყიდო ჩემი ყველაზე ძვირფასი საჩუქარი, ოზურგეთელი მხატვრის, მარინა უჯმაჯურიძის ნახატი. ეს მხატვარი არ ყიდის თავის ნახატებს, მე კი ვაძლევ შანსს მეცენატებსა და მხატვრობის მოყვარულთ ერთბაშად ორივე საქმე გააკეთონ. მარინა გაუსაძლის პრობებში ცხოვრობს და ამჯობინებს თავის ქვეყანას დაუტოვოს თავისი ძვირფასი ნამუშევრები როგორც ხელოვნების რელიქვია, ქართული კულტურა. გაყიდვის უფლება მისგან კინაღამ ჩვენი მეგობრობის ფასად დამიჯდა, დავუმტკიცე, რომ ამ პროექტს სხვანაირად ვერ დავამთავრებდი. ნახატი გამომაქვს აუქციონზე, ვიცი მისი ფასი, თანხას ხელოვნებას მოვახმარ.**

ჩემს ეკოსოფელში ჩართული იქნება სამედიცინო ტურიზმი, მაქვს სტომატოლოგთა ქსელი.

- თქვენც კურნავთ, დიაგნოზსაც სვამთ?

- ტიბეტური მედიცინის მაგისტრის წოდება მაქვს და ჩემი საავტორო წამლებიც, რომელიც გადავეცი რუის-ურბნისის ეპარქიის მონასტერს, სადაც ამზადებენ ამ წამლებს, მალამოებს და პრაქტიკულად ამ შემოსავალით ცხოვრობს მონასტერი. კანზე შემიძლია დიაგნოზის დასმა. ძალიან ბევრი უცხოელი პაციენტი მყავს, ეს ურეკიდან არის. მათი ჩანაწერების სამი წიგნი მაქვს უკვე, საჩუქრებსაც განსაკუთრებულად ვინახავ.

მთავარი მაინც სიკეთის კეთებაა ჩემთვის, არ მინდა, რომ მოვკვდე, მინდა გარდავიცვალო და ამ ქვეყანაზე ჩემი ნიშა დავტოვო. მძინავს მხოლოდ ხუთი საათი და ამ დროის უმეტეს ნაწილს კედლებზე ვფიქრობ. სიკეთე, სამშობლო, შვილები უპირველესია. ყველაზე დიდი ბედნიერება სიკეთეა.“

ქალბატონ ლალის გიზო ნიშნიანიძის ლიტერატურის სალონისათვის ექსპონატები მრავლად გააჩნია, რომელიც ოჯახმა გადმოსცა. მათმა მეგობრობამ ლალი გიზოს ბევრი ლექსის მუზა გახადა. ლალის ასევე მრავლად აქვს მადლიერი პაციენტების ჩანაწერები, საჩუქრები. მასზე მაია იასაშვილი წერს ნოველებს „ზღვისპირა ნოველები უცნაურ ქალზე“.

მიზანდასახული ქალბატონი ამ ზაფხულს ალბათ პირველ ტურისტებს მიიღებს სოფელ ოზურგეთში, მანამდის ბევრია საქმე, მათ შორის, უკვე გამოცხადებული აუქციონი მარინა უჯმაჯურიძის ულამაზეს ნახატზე...

ლია კილაძე

საუბრის ვიდეო ვერსია იხილეთ ფეისბუქ გვერდზე - ცოცხალი - **live**

კაცობისა და მეგობრობის ეტალონი

რევაზ ჩხაიძე

ბავშვობის წლებიდან მოყოლებული უახლოესი ურთიერთობა მქონდა პიროვნებასთან, ვინც ცხოვრობდა თავმდაბალი კაცის უხმაურო ცხოვრებით. ის, დღევანდელი ყოფიდან გამომდინარე, ისე იყო დატვირთული ყოველდღიური საზრუნავითა და პრობლემებით, როგორც თითოეული ჩვენგანი, მაგრამ, ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული, ყოველთვის ახერხებდა ყველასათვის თავისი წილი სითბო და ყურადღება მიეზღო. ამას აკეთებდა უბრალოდ, დაუმადლებლად, ამიტომაც იყო გამორჩეული.

არაერთხელ გამჩენია სურვილი, მეტიც, თავს მოვალედ ვთვლიდი, რაიმე დამეწერა მის შესახებ; ჯერ ერთი, ამით გამოვხატე პირადად ჩემი და ჩვენი მეგობრების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მის მიმართ და, მეორეც — ასეთი კაცის წარმოჩენას ხომ თავისთავად უდიდესი მაგალითის ძალა აქვს ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

ეს კაცი ყველა ოზურგეთელისათვის კარგად ცნობილი პიროვნება — რევაზ ჩხაიძე გახლდათ.

ბატონი რევაზი 90 წლის წინათ, 1928 წლის 14 თებერვალს დაიბადა სოფელ შრომაში ივანე ჩხაიძისა და ვერა კუკულაძის ოჯახში. 1947 წელს, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1952 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობას იწყებს საქ. ალკკ მახარაძის რაიკომის განყოფილების გამგედ. შემდეგ გადაჰყავთ საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორად, ხოლო 1954-1955 წლებში ალკკ მახარაძის რაიკომის მეორე მდივანია, 1955 წლიდან — სოფელ შრომის საშუალო სკოლის მასწავლებელი და მრავალტირაჟიან გაზეთ „მეგობრობის დროშით“ რედაქტორი.

1959 წლიდან თითქმის 35 წლის განმავლობაში ემსახურა ის მშობლიურ სკოლას, როგორც ღირსეული და წარმატებული დირექტორი.

რევაზ ჩხაიძე იყო განათლებული, ერუდირებული, გულისხმიერი და პრინციპული ხელმძღვანელი, მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთდა სკოლის და სოფლის საკეთილდღეოდ მისი მონდომებით, ზრუნვითა და მუხლჩაუხრელი შრომით.

რევაზ ჩხაიძემ შექმნა საუკეთესო ოჯახი პედაგოგ დარეჯან ჯაბუასთან ერთად. სამწუხაროდ, 2017 წელს ეს შესანიშნავი ქალბატონი გარდაიცვალა და ერთი წელიც არ არის გასული გარდაცვალების დღიდან.

შვილმა ეკა ჩხაიძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. მას გვერდს უმშვენებს ცხოვრების ერთგული თანამგზავრი მიხეილ ხომერიკი. ჰყავთ ორი შვილი მიშიკო და ანასტასია და ცხოვრობენ ქ. თბილისში.

რევაზ ჩხაიძის განვლილი ცხოვრების გზა გადაუჭარბებლად შემიძლია შემდეგი სიტყვებით შევაფასო::

— კაცი, რომელსაც მეგობრის ტკივილი ტკიოდა;

— კაცი, რომელიც მეგობრის სიხარულით ხარობდა;

— კაცი, რომელიც მხოლოდ მათი სიყვარულით არსებობდა.

სამარადისო ხსოვნა მის ნათელ სულს.

რომან ცეცხლაძე,
ჟურნალისტი, სოფელი შრომა.

სამგლოვიარო განცხადებები

გაზეთი „ალიონი“ იუწყება ქ. ოზურგეთის ყოფილი მერის, ბატონი **ზაურ ქობულაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს №3 საჯარო სკოლის მასწავლებელს ნანი მაჭარაშვილი-ანთიძეს მეუღლის, **ზაურ ანთიძის** გარდაცვალების გამო.

გრიბოედოვის ქუჩის უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ ზაზა ჩავლეიშვილს დედის, ქალბატონი **მაყვალა ჩავლეიშვილის** გარდაცვალების გამო.

სინათლეზე გამოსული შოთა ბაბილოძის სული

ალიონი. ოზურგეთის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ 14 თებერვალს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საწუთროდან უდროოდ წასულ ღირსეულ თანამემამულეთა სულების სინათლეზე გამოტანა ხელეწიფება. ამჯერად ბიბლიოთეკის ნათელი დარბაზი შოთა ბაბილოძის სულმა გაამშვენიერა.

52-ე 12 თებერვალი გათენდა ყველა ოზურგეთელისათვის საამაყო და ამავდროულად მტკივნეულად გასახსენებელი, ლიხაურის სანახებში ყველას დასანახად სანიმუშოდ აღზრდილი კაცის, კარგი ხელოვანის, დიდებული პიროვნების, შოთა ბაბილოძის დაბადებიდან. 6 წელია, რაც „დიდი სოფლის“ მკვიდრი გახდა, ექვსი წელია აღარ გვესალმება თავისი ბუბუნა ხმით, არ შემოგვცქერის მზისსხივჩამდგარი თვალებით, აღარ გვიღიმის ხალისიანი ღიმილით...

ხსოვნის საღამოს არავინ ესწრებოდა, რადგან ყველა მონაწილეობდა მასში - შვილდაღუპული დედა, დაქვრივებული მეუღლე, მამადაკარგული შვილები, სანიმუშო მოსწავლის მოულოდნელი გარდაცვალების გამო, ორმოცი დღის განმავლობაში გლოვის სამოსგაუხდელი მასწავლებელი, მეგობრები, მშობლიური თეატრის წარმომადგენლები, კოლეგები, ბიბლიოთეკარები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჟურნალისტები...

ყველა ბედნიერი იყო, ყველამ მაქსიმუმი გაიღო, რათა 6 წლის შემდეგ, შოთა ბაბილოძე ორიოდე საათით მათთან ყოფილიყო.

ძალიან დააკლდა თეატრს, სადაც, როგორც რეჟისორი და როგორც მსახიობი, ცდილობდა, არ დაეკარგა გუშინდელი, განევითარებინა დღევანდელი და დაეგეგმა მერმისი. ყოველთვის ორიგინალურად ახერხებდა თავისი ჩანაფიქრის გახსნას და მაშინ, როცა შემოქმედების ზენიტს უახლოვდებოდა, უმუხთლა წუთისოფელმა.

წიგნიერი კაცი იყო და განსაკუთრებულად მეგობრობდა ბიბლიოთეკასთან და, რა თქმა უნდა, ლოგიკურია, რომ ამ უნიჭიერესი კაცის ხსოვნის საღამო, სახელწოდებით „გამოდი სულო სინათლეზე“ სწორედ ბიბლიოთეკაში გაიმართა.

46 წლისა წავიდა და ბევრი რამ დარჩა სათქმელი ცხოვრებაშიც და თეატრის სცენიდანაც. მთავარი ისაა, რომ რაც თქვა, რაც გააკეთა, ის არ უფერულდება, პირიქით, რაც დრო გადის, ღირებული ხდება, პეწი ემატება. უფრო მთავარი კი ისაა, რომ მამის დაწყებულ საქმეს შვილები განაგრძობენ, რომელთაც გვერდით უდგათ დედა, ცნობილი მსახიობი, ქალბატონი ვერიკო ხუხუნაიშვილი.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, შოთა ბაბილოძის ჩაუქრობელი ღველფით აალმურებული ეს თეატრალური ოჯახი თავისი შემოქმედებით ისევ გაახარებს მაყურებელს, მთელ ოზურგეთს.

მასწავლებელთა მასწავლებელი

გუგული ჩხაიძეს



ჩემი შეუძლოდ ყოფნის გამო, ვერ მოვახერხე მომელოცა შენთვის დაბადების სახელოვანი თარიღი, მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

დიდი სიყვარულით გილოცავ და გისურვებ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს!

წერილის სათაური შემთხვევით არ შემირჩევია. შენ არა მარტო მოსწავლეების, არამედ მასწავლებელთა მასწავლებელიც იყავი. შენი საუბრები ყოველთვის იყო დამაჯერებელი, იმედისმომცემი, გამსჭვალული უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენით, მაღალი ოპტიმიზმით.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე, მუხლჩაუხრელი ემსახურებოდი ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. შენი გაკვეთილები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მათემატიკური საკითხების სწავლებით, მათ მჭიდროდ უკავშირებდი ჩვენი დიდი კლასიკოსების – რუსთაველის ილიას, აკაკის, ვაჟას, გამსახურდიას პერსონაჟებს. ამბობდი, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ კარგად უნდა იცოდეს მათ შესახებ. შენს გაკვეთილებს ყოველთვის ახლდა შენი ჯანსაღი იუმორი, რაც კიდევ უფრო ალამაზებდა და შინაარსიანს ხდიდა შენს საუბრებს.

მიუხედავად იმისა, რომ შენს დიდ საქმიანობასთან ერთად, არ გაკლდა კულტურა, ქცევა, საზოგადოებასთან დამოკიდებულება, თუნდაც შესახედაობა, საკუთარი ოჯახი არ შეგიქმნია. სწორედ შენ გეკუთვნის დიდი მგოსნის იოსებ ნონეშვილის სიტყვები:

„მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი“.

როცა თვალს შევავლებთ შენ მიერ ამაყად განვლილ გზას, თამამად შეიძლება შენი პიროვნება შეედაროს ჯარისკაცის ქვრივს, ოთარაანთ ქვრივს, ყველა დედას, ვინც ცხოვრების უკუღმართობამ, ბედისწერამ ცალად დატოვა; ვინც სინდისით, ნამუსით ზიდა ცხოვრების მძიმე ტვირთი; ვინც არ შებღალა ქართველი ქალის სახელი, მანდილი, ღირსება; ვინც არ შეუშინდა ასეთი ქალის ცხოვრების გზაზე ჩასაფრებულ მოსალოდნელობას, საფრთხეს და ამაღლებული დარჩა ქვეყნისა და საზოგადოების თვალში.

ერთხელ კიდევ გილოცავ და გისურვებ დიდხანს კიაფობდეს შენი სახელი ჩვენი ღირსეული ქართველი ქალბატონების ბრწყინვალე თანავარსკვლავედში!

პატივისცემით,
ამირან მამულაიშვილი.

გაზეთი „გურიის ხმა“ – 100 წლისაა

გურიის საზოგადოება ყოველთვის გამოირჩეოდა ცოდნის წყურვილით. ამიტომაც იყო რომ გურიის ინტელიგენცია ერთ-ერთი მოწინავე იყო იმ დროის საქართველოში, რასაც მოწმობს იმჟამინდელ ჟურნალ-გაზეთებში („დროება“, „ივერია,“ „კვალი,) გამოქვეყნებული კორესპონდენციები.

ამას მოჰყვა გურიაში სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობის დაწყება. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ჩვენმა თანამემამულეებმა ალფესი მიქელაშვილმა და კოწია თავართქილაძემ, რომლებსაც უკვე ჰქონდათ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქების სტამბებში მუშაობისა და საგამომცემლო საქმიანობის გამოცდილება, 80-იან წლების დასასრულს მომწიფებულად ჩათვალეს საკითხი ოზურგეთში საჯარო ბიბლიოთეკისა და სტამბის გახსნის შესახებ. ამის შესახებ წერდა გაზეთი „ივერია“ 1889 წლის 21 სექტემბრის ნომერში.

1889 წლის დამლევს, ა. მიქელაშვილის სახელზე გაცემული ნებართვით, ქ. ოზურგეთში, იმ ადგილას, სადაც ახლა ორად გაყოფილი სკვერია გიორგი ჭანტურიასა და აპოლონ წულაძის ქუჩებს შორის (მარჯვენა მხარეს) გაიხსნა რიგით მეორე წიგნის მაღაზია და სტამბა, რომელშიც დამონტაჟდა თბილისში, კ. თავართქილაძის მიერ საჯარო ვაჭრობით შესყიდული მეფე ერეკლეს დროის საბეჭდი მანქანა.

1891 წელს ქ. ოზურგეთში, ა. მიქელაშვილმა და კ. თავართქილაძემ გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი, რომლის ფასი 30 კაპიკი იყო. წიგნი ჩინებულად იყო გაფორმებული და ბეჭდვის მაღალი კულტურითაც გამოირჩეოდა. წიგნი დაიბეჭდა 2 000 ცალი ტირაჟით, მაგრამ იგი მაშინვე დაუტაცებიათ და მისი შეძენის მსურველთა დასაკმაყოფილებლად 1892 წელს მეორედ გამოსცა კ. თავართქილაძემ 4. 500 ცალი ტირაჟით. (იხ. ვ. ჭანუყვაძე, მ. კილაძე, ჟურნალისტიკის საკითხები, ტ. 7-8, თბილისი, 1981 წ. გვ. 489-499 გვ.).

კ. თავართქილაძემ 1902 წელს უფასოდ დაუტოვა ოზურგეთელ თანამოქალაქეებს მის მიერ დაარსებული წიგნთსაცავი და სტამბა.

1907 წელს თ. ბოლქვაძემ დაარსა ადგილობრივი გამოცემა– იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მათრახი,“ რომელშიც იუმორისტულ ნაწარმოებეთან ერთად აქვეყნებდა წერილებს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, რისთვისაც ის დააპატიმრეს.

1917 წელს თ. ბოლქვაძეს მაშინდელი ოზურგეთის სამაზრო ერობას იწვევს სტამბის მომწყობად, სადაც მან გამგე-ასოთამწყობად 1934 წლამდე იმუშავა. მის სახელს უკავშირდება ამ პერიოდის გამოცემები. 1931 წელს მის მიერ აიწყო გაზეთ „ალიონის“ წინამორბედი გაზეთის ნომრებიც.

* * *

1918 წელს ოზურგეთში, პერიოდული გამოცემა „გურიის ხმა“ დაარსდა. როგორც გაზეთის თავფურცელი გვამცნობს, თავდაპირველად იგი გურიის ახალგაზრდა მენშევიკების ორგანო იყო, ხოლო 1921 წლის ნომრებზე კი გურიის სამაზრო ერობის ორგანო აწერია.

გაზეთი პირველი ნომერი 1918 წლის 7 ივლისს გამოვიდა და იგი A-3 ფორმატის 2 გვერს შეიცავდა.

„7 ივლისიდან, ქ. ოზურგეთში გამოდის ყოველკვირეული გაზეთი „გურიის ხმა.“ (გამოდიოდა კვირაობით). ერთი ნომრის ფასი 30 კაპიკი იყო)

ხელის მომწერებმა ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ოზურგეთი, „გურიის ხმის“ რედაქცია, კ.ღლონტს. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

გაზეთის გამოწერა ადგილობრივ შეიძლება ჟურნალ-გაზეთების აგენტ ვ. თალაკვაძესთან. თვით რედაქციაში ყოველ დღე დილის 10-2 საათამდე და საღამოს 6-8-მდე. რედაქცია და კანტორა განთავსებულია პ. ხომერიკის სახლში (ხაზინის გვერდით).“

საინტერესოა სარედაქციო წერილიც, რომელიც გაზეთის მთავარ მიზნად საშობლოსადმი პატივისცემას და თავდადებას მიიჩნევს.

„ჩვენი გაზეთი უნდა გახდეს გურიის ნამდვილ სარკეთ და მის სიავ-კარგის აღმნუსხველ საგნათ...“

„ჩვენი ტანჯული სამშობლო, მრავალ წამებული საქართველო სამაჰმადიანო ქვეყნებით გარშემორტყმული მუდამ მათგან დაჩაგრული და გულდასერილი მიჯაჭვული ამირანივით ორწოებში იყო გამომწყვდეული და მთელი საუკუნეების განმავლობაში ყვავ-ყორნები დასჩხაოდნენ. ..

26 მაისი ჭეშმარიტად ისტორიული დღეა. ამ დღეს დაუსკვნა საძირკველი ქართველი ერის დამოუკიდებლობას.“–ვკითხულობთ „სადღეისოში.“

გაზეთში არის რუბრიკები: „ჟურნალ-გაზეთებიდან,“„ახალი ამბები.“

„როდესაც ჩვენი გაზეთის დაბეჭდვას შეუდგნენ, საბეჭდი მანქანის რეზინი (ვალიკები) დაზიანებული აღმოჩნდა მოუვლელობის გამო, რომელიც გამოწვეულია ოსმალთა ოზურგეთში თვენახევრის განმავლობაში ბატონობისაგან, ამიტომაც იძულებული გავხდით გამოგვეცა ორ-გერდიანი გაზეთი.

სასწრაფო ზომებია მიღებული რეზინის შესაძენად“ –ვკითხულობთ ახალ ამბებში.

ინფორმაცია „ჯარისკაცთა უნივერსიტეტის გახსნა ოზურგეთში:“

„26 ივნისს თეატრის შენობაში შედგა ჯარისკაცთა წარმომადგენლების და ადგილობრივ ინტელიგენციის კრება პოლკოვნილ ტიტე ართმელაძის თავმჯდომარეობით, ჯარისკაცთა უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. არჩეული იქნა 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა ხსენებული საქმის მოსაწყობათ. გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ: ტიტე ართმელაძე, კაკალა ნაკაშიძე-გორსკენსკაია,ყარამან ქარცივაძე, შუტუ საბაშვილი, ა. ჯინჭარაძე.“

გაზეთის პირველ ნომერში ვანო ქოროშასპირელის ლექსი „გურიის ხმას“. აღნიშნული ფსევდონიმი ვანო სერელს (სალუქვაძე) ეკუთვნის. (იგი გახლდათ ცნობილი პუბლიცისტის, გაზეთ „ალიონის“ ყოფილი რედაქტორის, თამაზ სალუქვაძის მამა).

გაზეთის მომდევნო ნომერში (21 ივლისი, 1918 წ.) მთავარ თემად ერობის შემოღების საკითხია განხილული.

წერილში „გურიის სოფლებში“ სოფლების მდგომარეობაა განხილული.

„ყველასათვის ცხადია, რომ გურიის სოფლები და განსაკუთრებით ის რაიონი, სადაც ჯარი იდგა (ნაგულისხმევია თურქების საოკუპაციო ძალები- რედ.) განადგურებულია და შიმშილით და ამის მიერ გამოწვეული ავადმყოფობით გაჭირვებას განიცდის, რასაც შეძლებისდაგვარად ყურადღებას აქცევს ახლად შექმნილი კომიტეტი.“

კიდევ უფრო მძაფრადაა გადმოცემული თურქების მიერ გურიის აოხრება მიმოხილვაში „გურიის ვითარება“: „საშინელი ხვედრი არგუნა ისტორიამ ჩვენს გურიას, –მართალია დღევანდელი საერთო მდგომარეობა არც ერთ კუთხეს ბედნიერებას არ უქადის, მაგრამ სულ სხვაა გურია, სულ სხვაა მისი ისტორია და წარსული.. ჯერ კიდევ 1905 წლის მეფის დამქაშების მიერ აოხრებულ მხარეს სულის მობრუნება ვერ მოესწრო, რომ ბარბაროს ოსმალთა მსხვერპლი შეიქმნა... თვე-ნახევარი ოსმალთა თარეში გურიაში მეტად ცუდ სურათს გვიხატავს: სურსათი სავსებით გაზიდული, მცხოვრებთა ბინები უკიდურესობამდე გაძარცვულ-გაპარტახებული, მინდვრები დაუთესავი; ერთი სიტყვით ყოველივე სახსარ მოკლებული გურული კაცი იძულებულია საარსებო წყაროს ეძიოს, მაგრამ სად? არც სიმინდი, არც ლობიო, არც ძროხა და არც არაფერი...დაუფიქრდით ეხლა თქვენ ასეთ ულმობელ პირობებს და ნათლად წარმოიდგენთ თუ რა უსაშინლეს ყოფაში გადაიჩეხა დღეს ეს ბედისაგან განწირული ხალხი...“

ნუგზარ ასათიანი

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ლამარა გუჯაბიძე

ოზურგეთის რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებას დააკლდა კიდევ ერთი ღირსეული, ღვაწლმოსილი პედაგოგი, უსაზღვრო ენერგიისა და შემართების მქონე, სითბოსა და სიყვარულის გამცემი, თხინვალის საჯარო სკოლის კოლექტივის აქტიური წევრი, ქალბატონი ლამარა გუჯაბიძე.

იგი ათეული წლების მანძილზე, რუდუნებით, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით ასრულებდა თავის საპატიო მოვალეობას. ნორჩებში აყალიბებდა ზნეობრივ სახეს, უნერგავდა მათ მამულის სიყვარულს.

ქალბატონი ლამარა იყო შესანიშნავი კოლეგა, კეთილი და მოსიყვარულე მეგობარი.

გაუსაძლისი ტკივილით წავიდა იგი ამ წუთისოფლიდან საყვარელი შვილისა და მეუღლის გარდაცვალების გამო. მიუხედავად ამ უდიდესი მწუხარებისა, იგი მხნეობით უმკლავდებოდა, როგორც სასკოლო ცხოვრებას, ისე საკუთარ ოჯახს.

წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა გულწრფელი, უშურველი ურთიერთობით აღსავსე წლების დაუვიწყარი მოგონება.

ნათელი დაუმკვიდროს უფალმა მის ლამაზ სულს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

დიდია შენი ამაგი ჩვენი სოფლის ახალგაზრდების წინაშე, ლამარა მასწავლებელო. სკოლის უძლიერესი სატკივარი იყავი. ყველას ფარვანასავით თავს ევლებოდი. ყველა დიდ ღონისძიებას შენს შემოქმედებით ქურაში უნდა გაევლო, გამოწრთობილიყო. ამიტომ იყავი ყოველთვის ღირსეული, შენი გაკვეთილი კი — უნიკალური, შემოქმედებითი. ზედმეტსახელად ჩვენი სკოლის რეჟისორსაც კი გეძახდნენ.

წუხს სკოლა. როგორ გიყვარდა სამასწავლებლო. გიყვარდა დებატებში ჩართვა, ჭეშმარიტების დადგენა. ხშირად იქნება დებატები სამასწავლებლოში, მაგრამ მას უშენოდ ხიბლი არ ექნება. ლოგიკა ხომ არასოდეს გღალატობდა. სულ გვენატრებოდი. ტყუილად როდი შემოგითვალეს პედაგოგებმა, შენ სკოლაში მოდი და ხელში აყვანილი აგიყვანთ სამასწავლებლოშიო.

შენით ამოდი, პედსაბჭოსაც დაესწარი და ვაგლახ, რომ ეს ბოლო აღმოჩნდა.

სკოლა ხომ შენი მეორე დიდი ოჯახი იყო. აქ დატოვე ცხოვრების უდიდესი და უმრავლესი წლები სამაგალითოდ, და ეს ოთხ ათეულ წელზე მეტს ითვლის.

ყოველთვის გვემახსოვრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

თხინვალის საჯარო სკოლა.

ტირილი, ცრემლი დარდს ვერ გვიქარვებს

ღვაწლმოსილ მასწავლებელს ლამარა გუჯაბიძეს

შენი უდროო გარდაცვალებით,
თითოეულ ჩვენგანს გვატკინე გული.
დაგვაკლდა შენი მზერა, ღიმილი,
უსაზღვრო სითბო და სიყვარული.

გამორჩეული სიახლის გზებით,
უკეთ სწავლების ხერხით, მეთოდით,
სამაგალითო გაკვეთილებით,
მაღალი დონის ღონისძიებით.

ვდგავართ მდუმარნი, გაფითრებულნი,
უღმერთო სევდამ სული დაჩრდილა,
ბევრი ეცადა დედაქალაქში,
სიკვდილს მაინც ვერ გადაგარჩინა.

მეორე კლასის ბავშვები ტირის,
დღეიდან მათ ხომ ობლები ჰქვია.
როგორც აღმზრდელი, შენა ხარ გმირი,
შენს სამარეზე იხარებს ია.

მომავლის რწმენით ზრდიდი პატარებს,
დაუღლელი და მოსიყვარულე,
ჰუმანური და მკაცრი, მომთხოვნი,
კარგი დედა და კარგი მეუღლე.

ამიერიდან ჩარაზულია
შენთვის საკლასო ოთახის კარი.
დაგცქერით ჩუმად, უხილავ ცრემლით
გარინდებულნი და ცოცხალ-მკვდარი.

მიდიხარ შვილთან ტანჯული დედა,
კახამ ხომ ყველას გვატკინა გული,
ამიერიდან იყავით ერთად,
შვილის სიყვარულს მონატრებული.

დატოვე შენი აღმზრდელი სკოლა,
შენი მეორე ოჯახი დიდი,
სადაც მომავალთ ცოდნით მოძღვრავდი,
ჩატეხილია დღეს იგი ხიდი.

ტირილი, ცრემლი დარდს ვერ გვიქარვებს,
ჩვენს სევდას, წუხილს არა აქვს ბოლო,
მიგაბარებენ დღეს ცივ სამარეს
და გვინდა გული თან ჩაგაყოლოთ.

გემშვიდობებით მასწავლებლები,
არ ძალგვიძს რამე, ნუგეში გითხრათ,
გჯეროდეს, ერთად ნაღვაწი წლები,
ტკბილ მოგონებად გაგვყვება დიდხანს.

ნოდარ დონაძე.

სკანვორდი



№ 6-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — კონსტანტინე გამსახურდია; მათემატიკური სიდიდე — ჯამი; ავიაკომპანია — აირზენა; საწერი სითხე — მელანი; თოფის ნაწილი — ფალია; ბრაზილიელი ფეხბურთელი — რივა; ერთ-ერთი საგენტო — როიტერი; ქარის სახეობა — ზენა; ციტრუსი — ბერგამოტი; უზბეკეთის დედაქალაქი — ტაშკენტი; მდინარე — ამუდარია; მოლდაველი პოეტი — ბოცუ; ხის წნული ჭურჭელი — გოდორი; ესპანელი მხატვარი — გოია; ციხე-მონასტერი სტამბოლში — აგიასანტი; შინაარსი — არსი; ტერიტორიულად მეორე ქვეყანა — კანადა; სომხური სახელი — სურენა; ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი — სანტოსი; ნადირის სადგომი — ბუნაგი; ა. ბუკიას ოპერა — არსენა; ლიტერატურული ნაწარმოები — საგა; ალანი —ოსი; ყამირი — უშალი; დიდი ისტორიული მონაკვეთი — ერა; სოლო ოპერაში — არია; ქალაქი საფრანგეთში —ნანტი; ქალაქი რაჭაში — ონი; მსუბუქი ქარი — ნიავი; ზურგზე მოსაკიდი ჩანთა — აბგა; ტარაბუა — რეტი; შიში — ძრწოლა; შავი და თეთრი ... — არაგვი; გაწყალებული ღვინო — დგვიფი.

ძველი ოზურგეთის ქრონიკები

უკანასკნელი გურიელები

ტელემაქ გურიელი

1897 წელს ოზურგეთში ჩამოსული ცნობილი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია წერდა: „ამჟამად ოზურგეთში მხოლოდ სამი ოჯახობაღაა შემორჩენილი გურიელების გვაროვნების: 1.ქაიხოსრო მალაქიას ძის მემკვიდრენი ეკატერინე და მარიამი (თავად დავით გუგუნავაზე გათხოვილი);2. კონსტანტინე (კოწია) მალაქიას ძე გურიელი და მისი ორი ასული ელენე და ნინო, 3. იესე გიორგის ძე გურიელის ძენი - ლევანი, გიორგი და ვლადიმერი(ტუტულია). აქ მოხსენიებული ქაიხოსრო, კონსტანტინე და იესე გურიელები, გურიის უკანასკნელ მთავარს ბიძაშვილის შვილებად ხვდებიან“ (თ.სახოკია „მოგზაურობანი“, ბათუმი 1985 წ. გვ. 32.)

მანამდე კი, ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციით, დიდებულ გურიელთა ქრონიკა ასეთია: მამიაV გურიელის მამა სვიმონი 1791 წელს გარდაიცვალა. მამია მაშინ სამი წლის იყო.სვიმონის ძმებმა ქაიხოსრომ და ვახტანგმა ისარგებლეს მთავრის მცირეწლოვანებით და გურიის ტახტის მიტაცება გადაწყვიტეს. კრიტიკულ ჟამს მცირეწლოვანი მთავრის ინტერესები იკისრა გარდაცვლილი მთავრის ძმამ, შემოქმედის კათედრალის ეპისკოპოსად შემზადებულმა ქაიხოსრო გურიელმა, რომელმაც ბერის სამოსი გაიხადა და საერო ცხოვრებას დაუბრუნდა და სამთავროს მამია V გურიელის სრულწლოვნებამდე განაგებდა.

მამია V გურიელს და დედოფალ (სიტყვა დედოფალს საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფის შემდეგ განურჩევლად იყენებდნენ, როგორც დედოფლები,ისე მთავრის მეუღლეები,თავიანთი ქმრების მიბაძვით, რომლებიც თავს ხელმწიფეებად იხსენიებდნენ) სოფიოს ხუთი შვილი ჰყავდათ, ოთხი ქალი და ერთი ვაჟი: ეკატერინე, ტერეზია, კოჭიბროლა, სოფიო (დედის მოსახელე) და დავითი.

1826 წლის 21 ნოემბერს მამია V გურიელი ოზურგეთის სასახლეში გარდაიცვალა. ტახტის მემკვიდრე დავითი მცირეწლოვანი იყო. დედაკაცის მმართველობა შეუფერებლად სცნო ერმოლოვმა (საქართველოს მთავარმართებელი) და საქმის განსაგებლად შექმნა დროებითი საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა მთავრინა სოფიო. სამთავროში სოფიოს მოწინააღმდეგენი ჰყავდა. სოფიო გრძნობდა, რომ სამთავრო ხელიდან ეცლებოდა. ასეთ ვითარებაში სოფიომ, ოჯახის წევრებისა და ერთგული პირების თანხლებით, ოზურგეთის სასახლე დატოვა. ქონება, რისი წაღებაც შეეძლო თან წაიღო.1828 წლის 1 ოქტომბერს, ღამით ლიხაურის სასახლე დატოვა და თურქ სარდალ ოსმან ბეგთან ქობულეთში მივიდა. ლიხაურის ციხე დაიკავა რუსეთის სარდალმა გესემ. ციხეში მას დახვდა სოფიოს მცირეწლოვანი შვილები: სოფიო და ტერეზია, უფროსი შვილები ეკატერინე და დავითი დედამ თან წაიყვანა.

ქობულეთიდან დედოფალი სოფიო ბათუმის გავლით ტრაპიზონში ჩავიდა. ტრაპიზონის ფაშამ დედოფალი და მისი თანმხლები პირები განათავსა ტრაპიზონთან ახლოს პლატანაში. ოსმალეთში მყოფ მთავრინა სოფიოსათვის ერთადერთი საფიქრალი და სადარდებელი იყო მშობლიური გურია. მას დიდი იმედი ჰქონდა ოსმან ფაშას დახმარებისა, მაგრამ რუსეთ-თურქეთის 1828-1929 წ. ომში, თურქეთის დამარცხების შემდეგ, თურქეთს მისთვის აღარ ეცალა.სოფიოს ტანჯავდა მწუხარება - სამშობლოდან წამოიყვანა შვილები, ნაცვლად სამშობლოში დაბრუნებისა, საქმე სიცოცხლისა და ღირსების დაკარგვისაკენ მიემართებოდა. ასეთ მტანჯველ და განსაცდელ მომენტში სოფიო პლატანაში 1829 წლის 7 სექტემბერს გარდაიცვალა.

უცხოეთში მშობლის გარეშე დარჩა ულამაზესი ბატონიშვილები - ეკატერინე, 16 წლის და დავითი, 14 წლის. ეკატერინეს ბედი ცუდად წავიდა .ერთხელ სულთანმა თავისთან იხმო ბატონიშვილები.სულთანს სურდა, ეკატერინე ცოლად შეერთო და სჯული გამოეცვალა.ეს იმდენად რთული აღმოჩნდა ეკატერინესათვის, რომ იგი ჭკუიდან შეიშალა.

1832 წელს რუსეთის მთავრობამ ნება დართო გურულებს, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, 1832 წლის 19 სექტემბერს ლტოლვილები ოზურგეთში დაბრუნდნენ. 1833 წელს ტახტის მემკვიდრე პეტერბურგში გაგზავნეს პაჟთა კორპუსში, რომელიც დაამთავრა 1838 წელს ოფიცრის ჩინით და 1939 წელს გაგზავნეს დაღესტანში შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად. 19 წლის ტახტის მემკვიდრე დავით გურიელი 1939 წელს დაიღუპა ახულგოს აღების დროს. ოზურგეთში ეკატერინე ბატონიშვილს უმკურნალეს და 1834 წელს გაათხოვეს ლევან ჩიჩუაზე (ოდიშის მთავრის სახლთუხუცესი). ეკატერინე ქმარს მალე გაშორდა. 1840 წელს პეტერბუგში გაგზავნეს თავის დასთან ტერეზიასთან, რომელმაც ჯვარი დაიწერა პეტერბუგში მყოფ გრიგოლ დადიანზე. 1842 წელს შეუღლებულები ზუგდიდში დაბრუნდნენ. ეკატერინე პეტერბურგში დარჩა იმპერატორის მფარველობის ქვეშ და ასე გაგრძელდა ნიკოლოზ I გარდაცვალებამდე. ალბათ 15 წელს, შემდეგ ეკატერინე ბატონიშვილის ბედი ჩვენთვის უცნონია.ასე წარიმართა გურიის უმსხვილესი ფეოდალის მამია V გურიელის ოჯახის ბედი.

ახლა მივუბრუნდეთ სვიმონის (მამიას მამა) მეორე ძმის ვახტანგის მემკვიდრეებს. ვახტანგს ორი შვილი ჰყავდა დავითი და კონსტანტინე .კონსტანტინე მცირეწლოვნებაში გარდაიცვალა. დავით ვახტანგის ძე გურიელი მამია V გურიელის თანამეცხედრეს სოფიოს გაჰყვა ემიგრაციაში და 1832 წელს დაბრუნდა სამშობლოში თავის მამულში - სოფელ ლესაში, მამული დაიბრუნა. (მანამდე მისი ქონება ხაზინას ეჭირა). დავით (დათა) გურიელი დიდი ფეოდალი იყო. მას ახასიათებდნენ როგორც უებრო ცხენოსანს და შესანიშნავ მოჯირითეს.მისი მეუღლე იყო ნიკო ტარიელის ძე დადიანის ასული ეკატერინე. დავითი 54 წლის ასაკში გარდაიცვალა 1856 წელს (დაკრძალულია ჯუმათის მთავარანგელოზის ეკლესიაში). დავითს და ეკატერინეს ჰყავდათ შვილები: ჯამბაკური, ვარდენი, მამია (პოეტი), ლექსანდრე, ვახტანგი. ზოგან ჩამონათვალში გვხდება ტელემაკი. ამის შესახებ იუნონა ტელემაკის ასული მოგვითხრობს: „მამია გურიელი და მისი ძმები გატაცებული ყოფილან ქართული, რუსული, ევროპული და ელინურ-ლათინური ლიტერატურით და ფილოსოფიით. მათ არა თუ


მამია გურიელი

ჩინებულად სცოდნიათ ყოველივე ეს, არამედ თავის შინაურებსაც და მსახურებსაც კი უკითხავდნენ და აზეპირებინებდნენ რუსთაველის, შექსპირის, პუშკინის და სხვა პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს. ხშირად პაექრობასაც მართავდნენ. მწერალთა ნაწარმოებების ცოდნაში აჯიბრებდნენ სტუმრებსა და შინაურებს. .თავის ახლობლებს კი ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟების სახელებს არქმევდნენ .მამიას ერთ-ერთი ძმა ალექსანდრე გატაცებული იყო ანტიკური მითოლოგიით და ლიტერატურით, რომ სახელი ალექსანდრე ტელემაკით შეუცვლია, ხოლო თავისი ერთადერთი ქალისათვის იუნონა დაურქმევია“ (პაპუნა წერეთელი,„მამია გურიელი და მისი ძმები“, ჟურნალი „საქართველოს ქალი“, №1, 1960).

ტელემაკი ტანმორჩილი, გამხდარი, მეტისმეტად პატარა კაცი იყო. მუდამ ჩოხა-ახალუხს ატარებდა. ქუდს არ იხურავდა. მის მაგივრობას უწევდა საოცარი გრუზა თმა. გარდა ქართულისა და რუსულისა, იცოდა ინგლისური და ფრანგული ენები. ენების ცოდნის გამო მრავალი სასაცილო ამბავი შეემთხვა .აი ერთი მათგანი: „ერთხელ თურმე ტელემაკი დიდ ბანკეტზე ყოფილა მიწვეული თბილისში. მის პირდაპირ პეტრე ბაგრატიონი (გრუზინსკი) მჯდარა. პეტრეს არ მოსწონებია,რომ ტელემაკი ქათამს ხელით ჭამდა და ეს ფრანგულად უთქვამს მეზობელი ქალისათვის (ამას რას წარმოიდგენდა, რომ ტელემაკს ეცოდინებოდა ფრანგული). ტელემაკმა, ვითომც აქ არაფერიო, განაგრძო ჭამა, მაგრამ სუფრიდან რომ წარმოდგნენ, წვერულვაშზე ხელსახოცი გადაისვა და სახტად დარჩენილი ბაგრატიონის გასაგონად ფრანგულად თქვა: „რა კარგად ვჭამე და რა კარგად ვსვიო“.

ტელემაკის მეუღლის სიო ბერიძის ასულის,ნინოს (ნინუცას) ლიტერატურულ სალონში თავს იყრიდა იმდროინდელი მოწინავე ქართული ინტელიგენცია. სჯა-ბაასი უმთავრესად ლიტერატურაზე იმდროინდელ საჭირბოროტო საკითხებს ეხებოდა. ხშირად თბილისშიც დადიოდნენ თავიანთი მრავალრიცხოვანი ნათესავების მოსანახულებლად, ან რომელიმე ცნობილი ქართველი ლექტორის საინტერესო ლექციის მოსასმენად. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ გურიაში ჩამოსული და-ძმა უორდროპები მათ დიდი პატივით მიიღეს, შეიყვარეს და შეითვისეს, უორდროპებიც ისე შეეთვისნენ, რომ ნათესავებს ეძახდნენ და ყველაზე დიდხანს დარჩნენ მათთან და არა თუ დარჩნენ, შემდეგში დედ-მამა და ძმა თომაც კი ჩამოიყვანეს, უორდროპები გურიელების მთელ ნათესაობას, მათ მსახურებს და მოურავებსაც კი დაუახლოვდნენ, ამიტომ იყო, რომ ქართულად ლაპარაკის დროს და წერილებში ხშირად გურულად უქცევდნენ ხოლმე. ოლივერს ნინოს დიდად განათლებული დის ვენერას შერთვა სდომია, მაგრამ ნათესავებს არ უქნიათ. უთქვამთ,მაგ სიშორე როგორ უნდა გავათხოვოთ, ხომ სამუდამოდ დაგვეკარგებაო. სიკვდილის წინ მარჯორი თხოვდა თურმე ძმას, საქართველოში წადი, ვენერა შეირთე და ეს ჩემი ნივთები მას მიართვიო. ოლივერი ამ მიზნით ჩამოსულა კიდეც საქართველოში, მაგრამ ვენერა უკვე როსტომ წერეთელზე ყოფილა დანიშნული. ოლივერი ინგლისში გაბრუნებულა, ოღონდ ვენერასათვის ჩამოტანილი ნივთები უკან აღარ წაუღია და დიდი მორიდებით მისთვის მიურთმევია, როგორც მარჯორის ნაანდერძევი. შემდეგში ოლივერმა ცოლი შეირთო, ვაჟი ეყოლა, რომელსაც სახელად ფარნაოზი დაარქვა, ქალი, რომ ყოფილიყო, ვენერას დავარქმევდიო, - იწერებოდა თურმე.

მამია გურიელი და მისი ძმები

პოეტი მამია გურიელი დაიბადა 1836 წლის 16 იანვარს სოფ. ლესაში. იგი აღიზარდა გურიის მთავართა სასახლეში. 1851-1853 წლებში სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. 1853 წლიდან სამხედრო სამსახურშია და მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში (1853-1856 წწ.). 1861 წლიდან თავს ანებებს სამხედრო სამსახურს. ლექსების წერა სიკვდილამდე დაიწყო. მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „ფაზელი“, რომელიც ქუთაისისა და რიონის სიყვარულით აირჩია. მისი პირველი ლექსი „ფარვანა“ დაიბეჭდა „ცისკარში“ (1860 წ. 1). ეს ის პერიოდია, როცა თერგდალეულებმა მაშინდელი საქართველოს მეჯოგეობა შეარყიეს და ქართულ აზოვნებას ჩაუდგნენ სათავეში .გიმნაზიის მესამე კურსიდან გამოსულმა მამიამ მხარი ვერ აუბა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და იგი თავადაზნაურთა და მოხელეთა ქეიფებს დაეწაფა. პოეტი ღვინოში ეძებდა აფორიაქებული სულის სალბუნს, გაეყარა ცოლს, თბილისელ მელიქიშვილის ქალს და ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად. მალე ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ პოეტს მაღალი საზოგადოება მოსწყინდა და დარდების გასაქარვებლად სამიკიტნოებს მისცა თავი. სიღატაკე, მიუსაფრობა, ლანდივით დასდევდა. ამას დაემატა რუსეთში მისი ერთადერთი ვაჟის კახაბერის თვითმკვლელობა.

მამია გურიელს დიდი მეგობრობა ჰქონდა სიმონ გუგუნავასთან. ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს .დიდ ინტერესს იწვევდა მათი სპორტული დუელი საჭადრაკო ბრძოლებში. ალიხანოვ-ავარსკის მიერ ნაგომრის გადაწვასთან ერთად განადგურდა მამიასა და სიმონის მეგობრობის ამსახველი დოკუმენტები. გადარჩა მხოლოდ 16-გვერდიანი ხელნაწერი ნაგომრობაზე (ხელნაწერი ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში). მათი მეგობრობის გამომხატველია სიმონ გუგუნავას გამოქვეყნებული ლექსი-ნეკროლოგი „მამია გურიელის საფლავზე“. 1891 წელს, რიონის პირას, ბალახვანში გურიელის შინა მოსამსახურე ვიღაც ბაბალესთან შეფარებული პოეტი ჭლექით გარდაიცვალა. დაკრძალულია ქუთაისში, წითელ ხიდთან, ცაცხვის ქუჩის აღმართში. საფლავის ქვაზე აწერია: „გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯაბა (ჯამბაკურ) გურიელი ზიჩიმ გამოიყენა ფარსადან მეფის ტიპაჟისათვის.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული
მუზეუმის ფონდების მცველი.

უფასო განცხადება

90 ბეჭვდითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი“ გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი“, რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია. 90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექმებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალებაა.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ზამთრის ვერნისაჟი – VII გამოფენა-კონკურსი

2011 წლიდან მ. ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი ანხორციელებს პროექტს ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსს „ზამთრის ვერნისაჟი" . პროექტის მიზნები და ამოცანებია გამოავლინოს სახვითი ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები და მისცეს მათ საშუალება თვითრეალიზაციისა და განვითარებისათვის.

ექსპოზიცია აერთიანებს გურიის რეგიონის სამხატვრო სკოლებისა (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბავშვთა ნამუშევრებს. წლევანდელ ვერნისაჟში მონაწილეობა მიიღო 400-მდე ბავშვმა 800-მდე ნამუშევრით. გამარჯვებული ბავშვები გამოავლინა სპეციალურმა ჟიურიმ. ნამუშევრების შეფასება ხდება ცალ-ცალკე სამხატვრო და საჯარო სკოლების მიხედვით.

სამხატვრო სკოლები

საუკეთესო კომპოზიცია – **ვალერი კეჭაყმაძე** (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა)

საუკეთესო თემა – **მარიამ თავართქილაძე** (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა)

საუკეთესო ფერწერა – **ელენე კალანდაძე** (ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა)

საუკეთესო გრაფიკა – **ნინო გულქანდარაშვილი** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

საუკეთესო პლასტიკა – **გიორგი ირემაძე** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

საუკეთესო დეკორაცია – **ნინო ჯორბენაძე** (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა)

საჯარო სკოლები

საუკეთესო კომპოზიცია – **ზაზა ბაკურაძე** (ბახვის საჯარო სკოლა)

საუკეთესო თემა – **ნატალია ბოლქვაძე** (კონჭკათის საჯარო სკოლა)

საუკეთესო გრაფიკა – **ქეთი ღლონტი** (მერიის საჯარო სკოლა)

საუკეთესო ნამუშევარი – **ნია დანელია** (მერიის საჯარო სკოლა)

საუკეთესო ხელნაკეთობა – **დავით შარაშენიძე** (II საჯარო სკოლა)

საუკეთესო შემომქმედი – **ნინი ქურცუა** (IV საჯარო სკოლა)

ჩვენი ცენტრის სახელით დიდ მადლობას ვუხდით ყველა სპონსორს თანამშრომლობისა და გვერდში დგომისათვის

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის რჩეული – **ზაზა ბაკურაძე** (ბახვის საჯარო სკოლა)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რჩეული – **ნატა ვაშაყმაძე** (ლიხაურის საჯარო სკოლა)

გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის რჩეული – **თამარ პაქსაშვილი** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

მ. ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის რჩეული – **ლიზი არობელიძე** (სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლა)

ბიზნესმენი დავით შარაშიძის რჩეული – **ლიზი დუმბაძე** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

მიხეილ ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა)

სანდრო სიხარულიძე (ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა)

შპს „ასკან-გელ ალიანსი" – **მარიამ თავდუმაძე** (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. სამრევლო სკოლა)

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი – **ელენე ჯინჭარაძე** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

საქართველოს კულტურის ფონდის გურიის ფილიალის რჩეული – **ნინო დოლიძე** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის

რჩეული – **ნატა ვაშაყმაძე** (ლიხაურის საჯარო სკოლა)

ამერიკელი მოხალისე ჯეკ ოილის რჩეული – **თამუნა კონტრიძე** (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა)

სუპერმარკეტ „ მოდერნი - 2007" რჩეული – **მარიამ ნაკაიძე** (სოფ. ოზურგეთის საჯარო სკოლა)

აფთიაქი „ისიდორე " – **მათე დარჩია** (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. სამრევლო სკოლა)

სააქციო საზოგადოება „იმედის" რჩეული – **მარიამ ანდღულაძე** (ნაგომარის საჯარო სკოლა)

შპს „ავერსი -ფარმას" რჩეული – **სალომე მგელაძე** (ნასაკირალის საჯარო სკოლა)

„ახალდაქორწინებულთა გზამკვლევი“

ოზურგეთელმა ნანი ჭანუყვაძემ, ჩვეული რუდუნებით, ორიგინალური სახსოვარი გაუკეთა ახალდაქორწინებულებს.

„ახალდაქორწინებულთა გზამკვლევი“ ქვეყნის მასშტაბით პირველი სარეკომენდაციო სახელმძღვანელოა ჯვარდასაწერ შეყვარებულთათვის. ქორწინების პირველი დღიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი შეასრულებს სასასთუმლე საგანძურის მისიას ოჯახსმოკიდებული წყვილისათვის, რომელსაც უზენაესმა დააკისრა პასუხისმგებლობა საკუთარი გენის, მოდგმის, გვარისა და მამულის წინაშე; ახალგაზრდა თუ ჭარმაგ ცოლ-ქმარს გაუადვილებს ცხოვრების ისედაც რთულ ლაბირინთებში გზის გაკვლევას.

გარეკანის პირველ გვერდზე, რომელიც ფაქტობრივად ლაჟვარდოვანი ცის ფონია, ვკითხულობთ:

„ვილოცავთ! თქვენი ცხოვრების ამ ბრწყინვალე და უმნიშვნელოვანეს დღეს.

გისურვებთ! ულევი სიყვარულითა და სიხარულით მოფენილი გზებით გევლოთ ამ დუნიაზე.

არ მოგკლებოდეთ ჯური არსობისა! ამინ!!!“

საქართველოს უკვდავების საწყისად ბუკლეტის ავტორი, უპირველესად, ჯანსაღ შვილებს მიიჩნევს და სწორედ აქეთკენ მოუწოდებს ახალდაქორწინებულებს:

„დიდ ადამინურ ბედნიერებას გისურვებთ, ახალგაზრდებო!

უზენაესმა აკურთხა თქვენი კავშირი, უკვდავებისა და გამრავლებისთვის, მაგრამ – საქართველოს უკვდავებას ჯანსაღი შვილები სჭირდება.

გახსოვდეთ! წამიერ სიამოვნებას ნუ გადააქცევთ თქვენი ოჯახის, საზოგადოების და იმ მომავალი ადამიანის სატანჯველად, რომელიც ჯერ არ ჩასახულა, მაგრამ თქვენი ცხოვრების აზრი და „სამყაროს გვირგვინია“.

ბუკლეტი მთავრდება ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული შედევრით „ჩოხა“, რომელსაც ავტორი „ნეფე-პატარძლის სასასთუმლე ლექსს“ უწოდებს:

„...როგორ მიყვარდი, როგორ
მიყვარხარ,
შენს ყველა სიტყვას მზით
ვუნათებდი,
რაც ძველმა გზებმა შემომინახა, –
აქამდე ვტკბები იმ სურათებით.

არც გვიცხოვრია უერთმანეთოდ,
ჩვენი მინდორიც ცით ოცნებობდა
და ერთადერთი ჩემი სამეფო
შენს სადედოფლოდ იწოდებოდა...“

რამდენადაც ვიცი, ქალბატონმა ნანიმ ეს სულ ექვსგვერდიანი ნამუშაკარი, თავისი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, მცირე ტირაჟით დაბეჭდვინა, არადა, ყურადსაღები და საჭირო ლიტერატურაა არამხოლოდ დღეისათვის, სამომავლოდაც.

ჩემი აზრით, კარგ და ლამაზ რიტუალს ჩაეყრება საფუძველი თუ „ახალდაქორწინებულთა გზამკვლევს“, ქორწინების მოწმობასთან ერთად, გადასცემენ ნეფე-დედოფალს.

თემურ მარშანიშვილი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

19 თებერვალი ორშაბათი	20 თებერვალი სამშაბათი	21 თებერვალი ოთხშაბათი	22 თებერვალი ხუთშაბათი	23 თებერვალი პარასკევი	24 თებერვალი შაბათი	25 თებერვალი კვირა
მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი
+3+9	+4+18	+5+12	+6+14	+6+11	+7+10	+7+11